ნარკოტიკული დანაშაულის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის სტანდარტები
(გიორგი შარაბიძის სისხლის სამართლის საქმის შეფასება)

“ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)” აგრძელებს იმ ნარკოტიკული დანაშაულების საქმეთა მონიტორინგს, რომელშიც შეიძლება იკვეთებოდეს სამართალდამცავი ორგანოებისა და მართლმსაჯულების სისტემის არაობიექტური დამოკიდებულება და სამართლიანი სასამართლო განხილვის პრობლემები. 2017 წელს, EMC-იმ გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც განხილულია იმ გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების ანალიზი, რომელში მონაწილე პირებიც პოლიციის მხრიდან ნარკოტიკის განზრახ უკანონო ჩადებაზე მიუთითებდნენ. წარმოდგენილი დოკუმენტით, EMC აფასებს კიდევ ერთ სისხლის სამართლის საქმეს, რომელშიც მსჯავრდებული გიორგი შარაბიძე ასევე არ აღიარებს დანაშაულს და მისი დაკავების ფარულ მოტივებზე მიუთითებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 27 თებერვლის განაჩენით, გიორგი შარაბიძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც გულისხმობს დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვას.

EMC-ის მიერ სრულყოფილად იქნა შესწავლილი გიორგი შარაბიძის ოჯახისა და ადვოკატის მიერ მოწოდებული სისხლის სამართლის საქმის მასალები, მათ შორის, გამოძიების სტადიაზე მხარეების მიერ მოპოვებული მტკიცებულებები და სასამართლო სხდომის ოქმები. საქმის შესწავლის ფარგლებში კომუნიკაცია გვქონდა თავად გიორგი შარაბიძესთან, მის ოჯახის წევრებსა და ინტერესების დამცველ ადვოკატთან, აგრეთვე სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან. ანგარიშში მოყვანილი მსჯელობა ეყრდნობა სწორედ ზემოთაღნიშნულ მასალებსა და წყაროებს. ანგარიშის მიზანია, სამართლებრივად შეაფასოს როგორც კონკრეტულ საქმეში არსებული მტკიცებულებები და საქმის მიმდინარეობა, ასევე კიდევ ერთხელ გამოკვეთოს ის სისტემური პრობლემები, რაც ნარკოტიკული დანაშაულის არამიზნობრივი გამოყენების რისკებს უკავშირდება.

1. საქმის მოკლე შეფასება

საქმის შესწავლამ წარმოაჩინა მთელი რიგი პრობლემური საკითხები როგორც საქმის გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის ეტაპზე. გიორგი შარაბიძის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, შესაძლოა საქმეში იკვეთებოდეს მისი დაკავების ფარული მოტივები, რაც დაკავშირებული არ არის ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებასთან. მისი თქმით, დაკავებამდე პერიოდში მას აიძულებდნენ ქვეყნის დატოვებას და დააკავეს მხოლოდ იმიტომ, რომ მან განსაზღვრულ ვადაში არ დატოვა საქართველოს ტერიტორია. გიორგი შარაბიძე მიუთითებს, რომ წარსულში, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში, მსგავსი მოთხოვნის საფუძველზე მას ერთხელ უკვე დაატოვებინეს საქართველოს ტერიტორია.

საქმის მასალების თანახმად, გიორგი შარაბიძის პირად ჩხრეკასა და დაკავებას საფუძვლად დაედო მხოლოდ ოპერატიული ინფორმაცია. ამასთან, საქმეში მოიპოვება ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებები პირადი ჩხრეკის ჩატარებისა და ოქმის შედგენის ადგილთან დაკავშირებით. კერძოდ, ბრალდების მხარის მოწმეები - ორი პოლიციელი აღნიშნავს, რომ პირადი ჩხრეკა ჩატარდა და ჩხრეკის ოქმი შედგა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილას (თბილისში, ატენის ქუჩაზე), ხოლო გიორგი შარაბიძის თქმით, პირადი ჩხრეკა ჩატარდა და ოქმი შედგა პოლიციის განყოფილებაში და არა ატენის

ქუჩაზე, როგორც ეს ოქმშია მითითებული. გიორგი შარაბიძის ჩვენების სხვადასხვა ნაწილს ადასტურებენ დაცვის მხარის მოწმეები, რომლებიც შეესწრნენ გიორგი შარაბიძის დაკავებას. მათი თქმით, გიორგი შარაბიძის პირადი ჩხრეკას და ოქმის შედგენას ატენის ქუჩაზე ადგილი არ ჰქონია.

საქმეში ასევე იკვეთება ბრალდების მხარის არაობიექტური დამოკიდებულება საქმისადმი. მათ სასამართლოში არ წარადგინეს მათ მიერვე მოპოვებული მტკიცებულება, ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დასტურდებოდა, რომ ამოღებულ ნივთიერ მტკიცებულებებზე აღინიშნებოდა არა გიორგი შარაბიძის გენეტიკური პროფილი, არამედ სხვა, დაუდგენელ პირთა პროფილები. ეს გარემოება ამყარებს გიორგი შარაბიძის პოზიციას, რომ მას დაკავების მომენტში არ ჰქონია საქმეში არსებული ნარკოტიკული საშუალება. ბრალდების მხარისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ აღნიშნულ მტკიცებულებას შეეძლო არსებითი მნიშვნელობა ჰქონოდა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას. მიუხედავად ამისა, როგორც აღინიშნა, ბრალდების მხარემ სასამართლოში არ წარადგინა ბილოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის დასკვნა, რითიც კიდევ უფრო საეჭვო გახდა მისი დამოკიდებულება ან შესაძლო დაინტერესება საქმისადმი. ამასთან, რელევანტური მტკიცებულების სასამართლოში არარსებობის გამო, ეჭვქვეშ დადგა სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხიც. მითითებული ექსპერტიზის დასკვნა სასამართლოში წარდგენილ მტკიცებულებათა შორის აღმოჩნდა მხოლოდ დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე.

ყურადღება უნდა გამახვილდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენზეც, რომელიც არ არის საკმარისად დასაბუთებული პირის დამნაშავედ ცნობისათვის და ამ მხრივ არ აკმაყოფილებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის დადგენილ სტანდარტს. რიგ შემთხვევებში სასამართლოს მიერ მტკიცებულებები არასწორად არის ინტერპრეტირებული. უფრო მეტიც, არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც სხდომის ოქმში ასახული მოწმის ჩვენება განაჩენში იმგვარად არის გადატანილი და განხილული, რომ საქმის ერთ-ერთ ძირითად გარემოებასთან მიმართებით, სრულად იკარგება ჩვენების მნიშვნელობა. ამასთან, გიორგი შარაბიძის მიერ დანაშაულის ჩადენის დასადასტურებლად სასამართლო ძირითადად ეყრდნობა მხოლოდ ორი პოლიციელის ჩვენებას და არ იზიარებს დაცვის მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, რომლებიც საპირისპიროზე მიუთითებენ.

2, **საქმის ფაქტობრივი გარემოებები**

საქმის მასალებით ირკვევა, რომ 2017 წლის 7 მარტს, შსს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-7 განყოფილებაში, გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, გიორგი შარაბიძის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე. გამოძიების დაწყების საფუძველი გახდა ამავე განყოფილების გამომძიებელის მიერ მიღებული ოპერატიული ინფორმაცია, რომ გიორგი შარაბიძე იმყოფებოდა ქ. თბილისში, ატენის ქ. N18ა-ს მიმდებარე ტერიტორიაზე და თან უნდა ჰქონოდა ნარკოტიკული საშუალება.

საქმის მასალების მიხედვით, გიორგი შარაბიძის პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა სავარაუდოდ ნარკოტიკული საშუალებები. ჩხრეკის დასრულების შემდეგ იგი დააკავეს და გადაიყვანეს ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოს მე-7 განყოფილებაში. მომდევნო დღეს, 2017 წლის 8 მარტს, გიორგი შარაბიძე ბრალდებულად ცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც გულისხმობს დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვას. შემდგომში გამოძიება გაგრძელდა და საქმე სასამართლოში გადაიგზავნა აღნიშნული კვალიფიკაციით.

2018 წლის 27 თებერვლის განაჩენით გიორგი შარაბიძე ცნობილ იქნა დამნაშავედ ბრალად წარდგენილი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისათვის და შეეფარდა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. დაცვის მხარის

მიერ განაჩენი გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. სასამართლო საჩივარი დასაშვებად ცნო და ამჟამად, თბილისის სააპელაციო სასამართლოში მიმდინარეობს საქმის განხილვა.

3. სამართლებრივი ხარვეზები გიორგი შარაბიძის საქმეში

გიორგი შარაბიძის საქმეში არსებული შესაძლო ფარული მოტივები

გიორგი შარაბიძე განმარტავს, რომ დაკავებამდე ერთი კვირით ადრე, ვაკის პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა მის საცხოვრებელ სახლში ჩაატარეს ჩხრეკა, რა დროსაც კანონსაწინააღმდეგო ვერაფერი აღმოაჩინეს. იგი მიუთითებს, რომ მას და მის ძმას აიძულებდნენ ქვეყნის დატოვებას, წინააღმდეგ შემთხვევაში დაჭერით ემუქრებოდნენ. მსჯავრდებულის განმარტებით, მისმა ძმამ დატოვა საქართველო, ხოლო თავად ვერ მოახერხა და სწორედ ამიტომ დააკავეს.

აღსანიშნავია, რომ მიმოსვლის თავისუფლების მსგავსი სახით შეზღუდვის სავარაუდო ფაქტის თაობაზე საუბარია სახალხო დამცველის ანგარიშშიც, კერძოდ: „2015 წლის საანგარიშო პერიოდში მოქალაქე დ.ბ-ის მიმართ დაფიქსირდა აღნიშნული უფლების შეზღუდვის ფაქტი. საქართველოს მოქალაქე დ.ბ. 2015 წლის 21 ნოემბერს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საპასპორტო კონტროლის გავლის შემდეგ, მისთვის უცნობმა სამმა პირმა, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს წარმოადგენდნენ, გადაიყვანა ცალკე ოთახში და განუცხადა, რომ თუ იგი საქართველოს ტერიტორიას არ დატოვებდა, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყებოდა.“[1]

გიორგი შარაბიძის დაკავების მეორე დღეს, 2017 წლის 8 მარტს, ბრალდების მხარემ გამოკითხა იგი. გამოკითხის დროს გიორგი შარაბიძე აღნიშნავდა, რომ მას არ ჰქონია ნარკოტიკული საშუალებები და რომ მისი ჩხრეკა ჩატარდა პოლიციის განყოფილებაში და არა ატენის ქუჩაზე, როგორც ეს ჩხრეკის ოქმშია მითითებული. მიუხედავად ამისა, გიორგი შარაბიძის სისხლის სამართლის საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ ბრალდების მხარემ დამატებითი ნაბიჯები გადადგა გიორგი შარაბიძის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შესამოწმებლად. როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, მათ არ მოუხდენიათ გიორგი შარაბიძის დაკავების შესაძლო თვითმხილველი ნეიტრალური მოწმეების იდენტიფიცირება და გამოკითხვა; არ მომხდარა გიორგი შარაბიძის დაკავების ადგილის დათვალიერება იმის დასადგენად განთავსებული არის თუ არა ვიდეოკამარები. შესაბამისად, არ მომხდარა ამ ვიდეოკამერების ჩანაწერების ამოღება. საქმის მასალებით არ დასტურდება ბრალდების მხარის რეალური მცდელობა, დაედგინა ხომ არ ჰქონდა ადგილი ნარკოტიკული საშუალების ჩადებას.

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი შინაარსის სხვა საქმეში, სადაც პირს ბრალად ედებოდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის მიერ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი.[2] განაჩენში აღნიშნულია, რომ ბრალდებული „მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების პირველივე ეტაპიდან და საქმის განხილვის დასრულებამდეც შეინარჩუნა ეს პოზიცია - ამტკიცებდა, რომ მას პოლიციელებმა ნარკოტიკული საშუალება ჩაუდეს. მიუხედავად ზემოთთქმულისა, საგამოძიებო ორგანოებმა, ნაცვლად იმისა, რომ ბრალდებულის მიერ გაჟღერებული არგუმენტების გასაბათილებლად გამოძიების ეტაპზევე ჩაეტარებინათ გარკვეული საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები, მოეპოვებინათ დამატებითი მტკიცებულებები - ვიდეოჩანაწერი, დაეკითხათ ნეიტრალური მოწმეები, - შემოიფარგლნენ მხოლოდ იმ

[1] საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 548, ხელმისაწვდომია - http://ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf - ბოლოს ნანახია 2018 წლის 11 მაისს.

[2] იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 20 სექტემბრის N 1/1623-17 განაჩენი

სამი მოწმის დაკითხვით, რომლებსაც დ. ხარშილაძე ამხელს ნარკოტიკების ჩადებაში."[3] იმავე განაჩენში აღნიშნულია, რომ „გამოძიების ორგანოების შემდგომმა უმოქმედობამ სასამართლოს გაუჩინა ეჭვი, მათ მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების სანდოობაზე. კერძოდ, გამოძიების ეტაპზე ამ საქმის ფარგლებში არ იქნა მოძიებული არანაირი ინფორმაცია შემთხვევის ადგილის მიმდებარე პერიმეტრზე შესაძლო ვიდეო კამერების და ჩანაწერების არსებობის თაობაზე, რათა მომხდარიყო ყოველგვარი ეჭვის გამომწვევი გარემოებების გამორიცხვა და გაბათილება."[4]

სასამართლოს ამ განმარტების და გიორგი შარაბიძის საქმეში არსებული ანალოგიური გარემოებების გათვალისწინებით, საჭირო იყო პროკურატურას შეესწავლა ნარკოტიკული საშუალების შესაძლო ჩადების საკითხი და გამოძიების ფარგლებში გაეცა პასუხი ყველა შეკითხვაზე, რაც ამ საქმესთან დაკავშირებით არსებობს. თუმცა, როგორც აღინიშნა, საქმის მასალებით არ იკვეთება პროკურატურის მცდელობა რეალურად დაედგინა პოლიციის თანამშრომელთა მოქმედების კანონიერება, რაც კიდევ უფრო მეტ ეჭვს აჩენს გიორგი შარაბიძის დაკავების შესაძლო ფარულ მოტივებთან მიმართებით. შესაბამისად, ჩნდება ეჭვი იმის თაობაზე, რომ ბრალდების მხარემ დაარღვია გამოძიების ჩატარების პრინციპები და გამოიჩინა არაობიექტური და მიკერძოებული დამოკიდებულება საქმისადმი.

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენის ბრალდება/მსჯავრდება

გამოძიების ეტაპზე, ბრალდების შესახებ დადგენილებაში და შემდგომ, განაჩენში აღნიშნულია, რომ გიორგი შარაბიძემ უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება, რომელსაც აგრეთვე უკანონოდ ინახავდა.

საქმეში არ მოიპოვება არცერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს გიორგი შარაბიძის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენის ფაქტს. ბრალდების შესახებ დადგენილებაში საუბარია, რომ გიორგი შარაბიძემ ***დაუდგენელ ვითარებაში*** უკანონოდ შეიძინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება. განაჩენში მოსამართლეს იგივე მსჯელობა გადატანილი აქვს ისე, რომ რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ან თუნდაც, ირიბად მიუთითებდა გიორგი შარაბიძის მიერ ნარკოტიკული საშუალების შეძენის დროის, ვითარებისა და სხვა გარემოების შესახებ, მითითებული არა აქვს.

სასამართლოს უფლება არა აქვს დამოუკიდებლად მოიპოვოს და გამოიკვლიოს მტკიცებულებები. მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხოლოდ მხარეების კომპეტენციაა.[5] როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ბრალდების მხარეს გამოძიება არ უწარმოებია იმ მიმართულებით, რომ დაედგინა თუ როდის, ვისგან და რა ვითარებაში შეიძინა გიორგი შარაბიძემ ნარკოტიკული საშუალება, ან რა დრო გავიდა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენიდან. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც ბრალდების მხარეს აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება მოპოვებული და სასამართლოში წარდგენილი არ ჰქონდა, ბრალდების შესახებ დადგენილების შინაარსის განაჩენში უპირობოდ ასახვა გაუმართლებელია. ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენის მტკიცების სტანდარტების პრობლემაზე, EMC საუბრობდა სასამართლოს მიერ 2017 წელს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენების შესწავლის საფუძველზეც.[6] ამ მხრივ, გიორგი შარაბიძის საქმეში აღინიშნება მსგავსი ხასიათის ხარვეზები, რაც 2017 წლის საქმეების შესწავლის შედეგებშია ასახული.

---

[3] იქვე, გვ. 5

[4] იქვე, გვ. 7

[5] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილი

[6] იხ. „ხარვეზები ნარკოტიკული დანაშაულების გამოძიებისა და დევნის პროცესში (2017 წლის გახმაურებული საქმეების ანალიზის შედეგები)", „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)", ხელმისაწვდომია - https://emc.org.ge/ka/products/kharvezebi-narkotikuli-danashaulebis-gamodziebisa-da-devnis-protsesshi-2017-tslis-gakhmaurebuli-sakmeebis-analizis-shedegebi

ბრალდების მტკიცების ტვირთი მხოლოდ ბრალდების მხარეს აკისრია და ბრალდებული არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა.[7] დანაშაულებრივი ქმედების (ნარკოტიკის შეძენა) ჩადენა ბრალდების მხარეს უნდა დაედასტურებინა გამოძიების ეტაპზე და საქმის არსებითად განხილვის დროს, ხოლო სასამართლო ვალდებული იყო დაესაბუთებინა განაჩენი კონკრეტულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რაც მათ არ განუხორციელებიათ.

დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.[8] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ „სამართლებრივი სახელმწიფო გულისხმობს ისეთი სამართლებრივი სისტემის არსებობას, რომლის პირობებშიც პირის წინააღმდეგ განხორციელებული მართლმსაჯულების ღონისძიებები - ბრალდება და პასუხისმგებლობის დაკისრება უნდა განხორციელდეს ადეკვატური სტანდარტების შესაბამისად.“[9]

ბრალდების მხარემ და სასამართლომ მიიჩნიეს, რომ გიორგი შარაბიძის ქმედებაში დასტურდებოდა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენის ელემენტის არსებობა. გიორგი შარაბიძის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, საქმეში არ დასტურდებოდა არათუ უტყუარი მტკიცებულებებით, არამედ რაიმე მტკიცებულებით. „ბრალდებულს არ უნდა შეერაცხოს დანაშაული მანამ, სანამ მტკიცებულებების საკმარისი და დამაჯერებელი ერთობლიობით არ დადასტურდება დანაშაულის თითოეული ელემენტის არსებობა მის ქმედებაში.“[10] შესაბამისად, საქმის მასალით არ დასტურდებოდა გიორგი შარაბიძის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენის ფაქტი. ნარკოტიკის შეძენის ნაწილში მტკიცებულებების პრობლემურობა, რა თქმა უნდა გავლენას ახდენს მთლიანად სისხლის სამართლის საქმის სანდოობაზე.

ჩხრეკისა და დაკავების განხორციელება მხოლოდ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე

საქმის მასალებით დგინდება, რომ გიორგი შარაბიძის პირად ჩხრეკასა და შემდგომ მის დაკავებას საფუძვლად დაედო მხოლოდ ოპერატიული ინფორმაცია - გამომძიებლის მიერ შედგენილი ინფორმაციული პატაკი. პატაკის შემდგენელი გამომძიებლის გამოკითხვა დასრულდა 2017 წლის 7 მარტს, 13:05 საათზე. გამოკითხვის დასრულებიდან მხოლოდ 15 წუთში - 13:20 საათზე დაიწყო გიორგი შარაბიძის პირადი ჩხრეკა, თბილისში, ატენის ქ. N18ა-ს მიმდებარე ტერიტორიაზე.

პატაკის თანახმად, გამომძიებელთან არსებული ინფორმაციის შესაბამისად, პატაკის დაწერის დროისათვის, გიორგი შარაბიძე უნდა ყოფილიყო ატენის ქ. N18ა-ს მიმდებარე ტერიტორიაზე. გამომძიებლის გამოკითხვა დაიწყო 12:55 საათზე. შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისათვის 7 მარტის 12:55 საათამდე უკვე ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ გიორგი შარაბიძე იმყოფებოდა კონკრეტულ მისამართზე. თუ დავუშვებთ, რომ პატაკში აღნიშნული ინფორმაცია სწორია, მითითებულ მისამართზე გიორგი შარაბიძე უნდა ყოფილიყო ჩხრეკის დაწყებამდე მინიმუმ 25 წუთის განმავლობაში, რაც ეწინააღმდეგება საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს. კერძოდ, გიორგი შარაბიძე გამოკითხვის ოქმში მიუთითებს, რომ მასთან სტუმრად იყო მისი მეგობარი, რომელთან ერთადაც მან

---

[7] საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტი; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი

[8] საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი

[9] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/1/548 „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2, ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/2714193

[10] იქვე, II-41

საცხოვრებელი სახლი დატოვა დაახლოებით 13:15 საათზე, თვითონ წავიდა ჭავჭავაძის ქუჩის მიმართულებით, ხოლო მისი მეგობარი ატენის ქუჩის მიმართულებით. თუმცა, უკანასკნელ მომენტში, გიორგი შარაბიძემ გადაწყვიტა, რომ წასულიყო „უბნის ტაქსით“, რის გამოც გაემართა მიწისქვეშა გადასასვლელისკენ. მითითებულ გარემოებებს ადასტურებს გიორგი შარაბიძის მეგობარიც.

აღნიშულიდან გამომდინარე, ეჭვქვეშ დგას გამოძიების დაწყების საფუძვლის - პატაკის ავთენტურობის საკითხიც და ჩნდება კითხვა, ხომ არ ჰქონდა ადგილი გიორგი შარაბიძის ფარულ თვალთვალს და ***წერილობითი მტკიცებულებების ხელოვნურად იმ ფორმით შექმნის მცდელობას,*** რომ ისინი შესაბამისობაში ყოფილიყვნენ საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან. თუ გამოირიცხებოდა გამოძიების დაწყების საფუძვლის, ე.ი. პატაკის ავთენტურობა, აღნიშნული გავლენას იქონიებდა მთელ სისხლის სამართლის საქმეზე როგორც გამოძიების ეტაპზე, ისე საქმის სასამართლოში განხილვის დროს.

გიორგი შარაბიძის პირადი ჩხრეკა

საქმეში წარმოდგენილი პირადი ჩხრეკის ოქმის თანახმად, აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება დაიწყო 13:20 საათზე და დასრულდა 13:40 საათზე. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილად მითითებულია ქ. თბილისი, ატენის ქ. N18ა-ს მიმდებარე ტერიტორია. ოქმში საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელ პირებად მითითებულნი არიან პოლიციის თანამშრომლები კ.პ. და მ.მ. ისინი აღნიშნავენ, რომ პირადი ჩხრეკის ოქმი შედგა ჩხრეკის ჩატარების ადგილას. ოქმში აგრეთვე მითითებულია, რომ გიორგი შარაბიძე გაეცნო ოქმის შინაარსს, ჩაბარდა ოქმის ასლიც, თუმცა ჩაბარების დადასტურებაზე ხელისმოწერაზე უარი განაცხადა. თავად გიორგი შარაბიძე აღნიშნავს, რომ მისი პირადი ჩხრეკა ჩატარდა არა ატენის ქუჩაზე, არამედ პოლიციის განყოფილებაში, ამასთან, გაჩხრიკეს რამდენჯერმე და ოქმიც შეადგინეს განყოფილებაში.

პოლიციის თანამშრომლები საუბრობენ, რომ პირადი ჩხრეკის ოქმი შედგა ჩხრეკის ჩატარების ადგილზე, ე.ი. ატენის ქუჩაზე. ასეთ ვითარებაში გაურკვეველია, თუ როგორ ან სად მოახერხეს მათ ოქმის ასლის გადაღება და გიორგი შარაბიძისათვის გადაცემა. პოლიციელები ჩვენებაში მიუთითებენ, რომ ჩხრეკის ჩატარების დროს მათთან ერთად იმყოფებოდა პოლიციის კიდევ ერთი თანამშრომელი, რომელიც მხოლოდ ავტომანქანას მართავდა და საგამოძიებო მოქმედებაში რაიმე სახით მონაწილეობა არ მიუღია. ამასთან, არც შეუძლიათ მისი ვინაობის გახსენება. არცერთი მათგანი არ საუბრობს ოქმის ასლის გადაღების და გადაცემის კონკრეტულ გარემოებებზე და ამდენად, დაუდგენელია მართლა მოხდა თუ არა ოქმის გადაცემა გიორგი შარაბიძისათვის. თუ პოლიციის თანამშრომლებს ოქმი არ გადაუციათ გიორგი შარაბიძისათვის, აღნიშნული ეჭქვეშ აყენებს პირადი ჩხრეკის ოქმის სარწმუნოობასაც და ამყარებს გიორგი შარაბიძის პოზიციას, რომ ოქმი შედგა არა პირადი ჩხრეკის ჩატარების ადგილზე, არამედ პოლიციის განყოფილებაში. თუ ჩხრეკის ოქმი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილას არ შეუდგენიათ, ეს მიუთითებს მტკიცებულების სავარაუდო გაყალბებაზე, რაც წარმოადგენს გიორგი შარაბიძის უდანაშაულოდ ცნობის საფუძველს.

ბრალდების მხარეს და სასამართლოს განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაემახვილებინათ დაცვის მხარის მოწმეთა ჩვენებებზე და საბოლოოდ, გადაწყვეტილება მიეღოთ მხოლოდ საქმის ყველა მტკიცებულების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე. შარაბიძის საქმეზე ბრალდების მხარე და სასამართლო რეალურად ყურადღების გარეშე ტოვებენ დაცვის მხარის მტკიცებულებებს ან არასწორ ინტერპრეტაციას უკეთებენ მათ. უფრო მეტიც, არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც სხდომის ოქმში ასახული მოწმის ჩვენება განაჩენში იმგვარად არის გადმოტანილი და განხილული, რომ საქმის ერთ-ერთ ძირითად გარემოებასთან მიმართებით, სრულად იკარგება ჩვენების მნიშვნელობა. მაგალითად, დაცვის მხარის მოწმე აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც მან დაინახა თუ როგორ მოჰყავდათ პოლიციელებს გიორგი შარაბიძე, ამ

მომენტიდან გიორგი შარაბიძის ავტომანქანით წაყვანამდე ისინი უწყვეტად მისი თვალთახედვის არეში იყვნენ და ამ პერიოდში გიორგი შარაბიძის პირად ჩხრეკას და ოქმის შედგენას ადგილი არ ჰქონია. სასამართლომ სათანადო ყურადღების მიღმა დატოვა მოწმის ჩვენების ეს ნაწილი და წარმოაჩინა ისე, თითქოს არსებობდა დროის ისეთი მონაკვეთი, როდესაც გიორგი შარაბიძის მეგობარი ვერ დაინახავდა შარაბიძის ჩხრეკასა და ოქმის შედგენას. ამ დროს თავად პოლიციის თანამშრომლები მიუთითებენ, რომ მათ გიორგი შარაბიძე გაჩხრიკეს არა მისი შეჩერების ადგილზე, არამედ ავტომანქანასთან. ხსენებული მოწმის ჩვენების მიხედვით კი, ავტომანქანასთან მყოფ გიორგი შარაბიძეს ის ხედავდა ისე, რომ არ დაუკარგავს თალთახედვის არედან. მოწმე აღნიშნავდა, რომ გიორგი შარაბიძეს ის ვერ ხედავდა თავდაპირველად მასთან დაშორებიდან მხოლოდ 2-3 წუთის განმავლობაში, მანამ, სანამ ჭავჭავაძის გამზირიდან ატენის ქუჩაზე ჩამოსასვლელ კიბეებზე პოლიციელები ჩამოიყვანდნენ. კიდევ ერთხელ, თავად პოლიციელები განმარტავენ, რომ ჩხრეკა ჩატარდა არა გიორგი შარაბიძის შეჩერების ადგილას, არამედ ავტომანქანასთან. პირადი ჩხრეკის ოქმის თანახმად, აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება მიმდინარეობდა 20 წუთის განმავლობაში. შესაბამისად, იმ პირობებშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ მოწმე ვერ დაინახავდა ჩხრეკის მიმდინარეობის საწყის 2-3 წუთს, მას უნდა დაენახა საგამოძიებო მოქმედების უდიდესი ნაწილი.

დაცვის მხარის მოწმეები სასამართლოში დაიკითხნენ 2018 წლის 1 თებერვალს, რითიც დასრულდა მტკიცებულებების გამოკვლევა. ბრალდების მხარემ იმავე პროცესზე თქვა დასკვნითი სიტყვა. მათ არ ჰქონდათ დრო და შესაძლებლობა იმისათვის, რომ დასახელებული უკანასკნელი მტკიცებულებები შეედარებინათ სხვა მტკიცებულებებს და საქმის საბოლოო შეფასება გაეკეთებინათ არა ცალმხრივად, მხოლოდ ბრალდების მხარის მტკიცებულებებზე დაყრდნობით, არამედ საქმის ყველა მტკიცებულების გათვალისწინებით. შეიძლება ითქვას, რომ ბრალდების მხარე ფაქტობრივად გაყვა წინასწარ დაწერილ სცენარს და მათთვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონია მტკიცებულებათა ერთობლიობას და განსაკუთრებით დაცვის მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს.

დაცვის მხარის მოწმეები იყვნენ თვითმხილველები და შეესწრნენ პოლიციის თანამშრომლების მიერ გიორგი შარაბიძის დაკავებას. არცერთი მათგანი არ ადასტურებს ატენის ქუჩაზე გიორგი შარაბიძის პირადი ჩხრეკის ჩატარების ფაქტს. ორივე მათგანი აღნიშნავს, რომ იმ პერიოდში, როცა გიორგი შარაბიძე იყო მათი თვალთახედვის არეში, მისი ჩხრეკა არ ჩატარებულა. მართალია, ორი მოწმე ცალ-ცალკე სრულად ვერ ხედავდნენ გიორგი შარაბიძესა და პოლიციის თანამშრომლებს შორის კომუნიკაციას, თუმცა ერთობლიობაში მათ ჰქონდათ შესაძლებლობა სრულად ედევნებინათ მათთვის თვალი. ეს ორი მოწმე, მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციის ნაწილში, ადასტურებენ გიორგი შარაბიძის ჩვენებას.

სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ ბრალდების მხარის ორი მოწმე - პოლიციის თანამშრომლები საუბრობენ, რომ მათ გიორგი შარაბიძის პირადი ჩხრეკა ჩაატარეს თაობაზე მისი დაკავების ადგილას, ხოლო დაცვის მხარის ორი მოწმე მიუთითებს აღნიშნულის საპირისპიროს და ამბობს, რომ გიორგი შარაბიძე დაკავების ადგილზე არ გაუჩხრეკიათ. შესაბამისად, საქმეში მოიპოვებოდა ურთიერთგამომრიცხავი მტკიცებულებები და არსებობდა საეჭვო გარემოებები სასამართლოს მიერ გადასაწყვეტ საკითხებზე. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გადაწყვეტილი, უნდა გადაწყდეს ბრადლებულის/მსჯავრდებულის სასარგებლოდ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მხოლოდ ორი პოლიციელის ჩვენება არ არის საკმარისი საქმეზე დასკვნების გამოსატანად და რომ ასეთ პირობებში სახელმწიფოს ფაქტობრივად არაფერი გაუკეთებია ინფორმაციის გადასამოწმებლად.[11] მიუხედავად ნათელი კონსტიტუციური სტანდარტისა და ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტებისა, სასამართლომ უპირობოდ გაიზიარა ბრალდების მხარის

[11] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საქმე ვირაბიანი სომხეთის წინააღმდეგ - no. 40094/05, 02.10.2012, #224

ორი პოლიციელი მოწმის ჩვენება და სათანადო ყურადღების გარეშე დატოვა დაცვის მხარის მტკიცებულებები.

გიორგი შარაბიძის დაკავების კანონიერების შეფასება

საქმის მასალების მიხედვით, გიორგი შარაბიძის დაკავებას წინ უძღვოდა მისი პირადი ჩხრეკა. ბრალდების მხარის ვერსიის მიხედვით, რაც ასევე გაიზიარა სასამართლომ, გიორგი შარაბიძის დაკავებას საფუძვლად დაედო მისი პირადი ჩხრეკის ჩატარება და სავარაუდო ნარკოტიკული საშუალების ამოღება.

ზემოთ განხილული ფაქტობრივი გარემოებები და მსჯელობა მნიშვნელოვან კითხვებს აჩენს პირადი ჩხრეკის ადგილთან დაკავშირებით. ამდენად, თუკი პირადი ჩხრეკის შესახებ საქმეში არსებული მასალების ავთენტურობა საეჭვოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება გიორგი შარაბიძის დაკავების სამართლებრივი საფუძველიც. ამ პირობებში, შეიძლება სახეზე იყოს გიორგი შარაბიძის დაკავება მხოლოდ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე. სამწუხაროდ, ამაზე მსჯელობა სასამართლოს განაჩენზე საერთოდ არ არის მოცემული. სასამართლოს პირადი ჩხრეკისა და დაკავების სამართლებრივი საფუძველის კრიტიკული შეფასება არ გაუკეთებია.

ბიოლოგიური და ქიმიური ექსპერტიზის დასკვნები

გიორგი შარაბიძე გამოძიების საწყისი ეტაპიდანვე მიუთითებდა, რომ მას დაკავების დროს არ ჰქონია ნარკოტიკული საშუალება. პირადი ჩხრეკის ოქმის თანახმად, გიორგი შარაბიძისაგან ამოღებულ იქნა ჟილეტი, საიდანაც თითქოსდა ამოიღეს ნარკოტიკული საშუალება. ბრალდების მხარის მიერ დანიშნული იყო კომპლექსური ქიმიური და ბიოლოგიური ექსპერტიზა, რათა დაედგინდათ, ერთი მხრივ, ამოღებული ნარკოტიკული საშუალებების შეფუთვებზე იყო თუ არა გიორგი შარაბიძის გენეტიკური პროფილის შესაბამისი ბიოლოგიური მასალა, ხოლო მეორე მხრივ, ამოღებულ ჟილეტზე აღინიშნებოდა თუ არა ნარკოტიკული საშულება, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება ან/და ფსიქოტროპული საშუალება.

ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, გიორგი შარაბიძის ჟილეტზე და მის ჯიბეებში ***არ აღინიშნებოდა*** ნარკოტიკული საშუალება, ფსიქოტროპული ან/და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება. ბილოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება, რომ ამოღებული ნარკოტიკული ნივთიერებების შეფუთვებზე გამოვლინდა შერეული ტიპის გენეტიკური პროფილები, რომელთა შორის არ არის გიორგი შარაბიძის გენეტიკური პროფილი.

კიდევ ერთხელ უნდა გამახვილდეს ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ბრალდების მხარემ სასამართლოში არ წარადგინა ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დასტურდებოდა, რომ ამოღებული ნივთიერებების შეფუთვებზე გიორგი შარაბიძის გენეტიკური პროფილი არ იყო. მართალია, ზოგადად, ბრალდების მხარე კანონით უფლებამოსილია სასამართლოში არ წარადგინოს ყველა მტკიცებულება, რაც მოიპოვა, არამედ წარადგინოს ის, რაც მისი შეფასებით ადასტურებს წარდგენილ ბრალდებას. თუმცა, მეორე მხრივ, ბრალდების მხარის ვალდებულებაა, ობიექტურად და მიუკერძოებლად მიუდგეს ნებისმიერ საქმეს და ბრალდებულს. ობიექტურობა მოითხოვს ყველა მტკიცებულების შეფასებას და თუ არსებობს რაიმე ისეთი მტკიცებულება, რაც სასამართლოს დაეხმარება კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანაში, იგი უნდა წარედგინოს კიდეც სასამართლოს. მოცემულ შემთხვევაში, ბრალდების მხარეს სასამართლოში არ შეუტანია ის მტკიცებულება, რაც ცალსახად გიორგი შარაბიძის პოზიციის დამადასტურებელია. ბილოგიური (გენეტიკური) ესპერტიზის დასკვნა საქმეში აღმოჩნდა მხოლოდ დაცვის მხარი შუამდგომლობის საფუძველზე.

ბრალდების მხარის ზემოაღნიშნული ქმედება (მნიშვნელოვანი მტკიცებულების სასამართლოში წარუდგენლობა) კითხვებს აჩენს, ამ საქმეში ბრალდების მხარის ობიექტურობის თაობაზე. ეს გარემოება,

საქმეში არსებულ სხვა ხარვეზებთან ერთად, შეიძლება კიდევ ერთხელ მიუთითებდეს იმ სავარაუდო ფარულ მოტივებზე, რაზეც გიორგი შარაბიძე მიუთითებს.

განაჩენის დასაბუთებულობის ხარისხი

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, გონივრული ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას. სასამართლოს განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.

საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა შეფასდეს ყველა მტკიცებულება. მათი შეფასება უნდა მოხდეს როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლიობაში. გიორგი შარაბიძის საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა ანალიზი, მათ შორის, მოწმეთა ჩვენებებისა და ბილოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის დასკვნის შინაარსი და მათი სხვა მტკიცებულებებთან შეპირისპერება, საეჭვოს ხდის საქმეში დამნაშავედ ცნობისთვის საჭირო საკმარისი საფუძვლის არსებობას.

გიორგი შარაბიძის საქმეზე მიღებული სასამართლოს განაჩენი არ არის საკმარისად დასაბუთებული და არ ეფუძნება გონივრული ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას. საპროცესო კოდექსით დადგენილია მტკიცების სტანდარტები. გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი გულისხმობს სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.[12] შესაბამისად, იმისათვის, რომ გიორგი შარაბიძე ცნობილი ყოფილიყო დამნაშავედ, აუცილებელი იყო საქმეში არსებულ მტკიცებულებებს გონივრულ ეჭვს მიღმა დაედასტურებინა მის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „დანაშაულებრივი ქმედება უნდა დადასტურდეს გონივრულ ეჭვს მიღმა, უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი გონივრული ეჭვი პირის მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით. საზოგადოება, რომელიც იღწვის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, იცის ადამიანის თავისუფლების ფასი, არ დაუშვებს ისეთი პირის მსჯავრდებას, რომლის ბრალეულობა მიუკერძოებელი და გონიერი დამკვირვებლისთვის საეჭვო რჩება.“[13] საკონსტიტუციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა „სტანდარტი ვალდებულებას აკისრებს დანაშაულებრივი ფაქტების დამდგენ სასამართლოს, რომ სამართლიანად გადაჭრას სამხილებს შორის არსებული კონფლიქტები, სათანადოდ აწონოს მტკიცებულებები და ამ პროცესში წარმოშობილი ყოველგვარი გონივრული ეჭვი გადაწყვიტოს ბრალდებულის უდანაშაულობის, მისი თავისუფლების სასარგებლოდ.“[14]

ზემოთ აღინიშნა, რომ საქმეში არ მოიპოვება არცერთი მტკიცებულება, სადაც ირიბად მაინც იქნებოდა მითითებული გიორგი შარაბიძის მიერ ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენის დროისა და გარემოებების შესახებ. ბრალდების მხარეს არ უცდია ამ მიმართულებით რაიმე მტკიცებულების მოპოვება. ამდენად, გონივრულ ეჭვს მიღმა ვერ დასტურდება გიორგი შარაბიძის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა. იმ პირობებში კი, როდესაც გიორგი შარაბიძის მხრიდან ნარკოტიკული საშუალების

---

[12] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილი

[13] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება N1/1/548 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-42, ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/2714193

[14] იქვე, II-44

შეძენის გარემოებები საერთოდ არ არის გამოკვლეული და საქმეში არსებობს სხვა წინააღმდეგობრივი გარემოებები ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება გიორგი შარაბიძის მსჯავრდების კანონიერება ნარკოტიკის შენახვის ნაწილშიც.

4. შეჯამება

გიორგი შარაბიძის საქმეში არსებული მტკიცებულებები გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ვერ ადასტურებდა მისთვის წაყენებულ ბრალს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, რომლითაც გაუქმდა გამამტყუნებელი განაჩენი და პირი უდანაშაულოდ იქნა ცნობილი, ყურადღებას ამახვილებს გონივრული ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებებზე დაყრდნობით პირის მსჯავრდების აუცილებლობაზე. სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ პირობებში, როდესაც წარდგენილი ბრალდების ნაწილში სახეზეა ურთიერთგამომრიცხავი მტკიცებულებები, კერძოდ, მოწმეთა ჩვენებები, ჩნდება ეჭვი, რომ ამ პირს არ ჩაუდენია მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, რაც უნდა გადაწყდეს მსჯავრდებულის სასარგებლოდ.[15]

გიორგი შარაბიძის საქმის განხილვისას სასამართლო კრიტიკულად მიუდგა დაცვის მხარის მტკიცებულებებს, მაშინ, როდესაც ბრალდების მხარის მტკიცებულებებთან მიმართებით იგივე არ განუხორციელებია. უფრო მეტიც, სასამართლოს განაჩენში იმგვარად აქვს ასახული დაცვის მხარის მტკიცებულებები, რომ მისი წაკითხვით შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს შესაძლებელია დაცვის მხარის მოწმეები არ შესწრებოდნენ გიორგი შარაბიძის პირად ჩხრეკასა და დაკავებას. თუმცა საპირისპირო დასტურდება სხდომის ოქმით, სადაც სრულად არის ასახული მოწმეთა ჩვენებები.

წარმოდგენილ ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია ყველა იმ რელევანტურ გარემოებასა და მტკიცებულებაზე, რაც ერთობლიობაში გამოძიების ობიექტურობისა და განაჩენის კანონიერების პრობლემაზე მიუთითებს, მათ შორის:

- გიორგი შარაბიძის ჩვენება, რომელიც მიუთითებდა, რომ მას არ ჰქონია ნარკოტიკული საშუალებები და რომ მისი პირადი ჩხრეკა ჩატარდა არა ატენის ქუჩაზე, როგორც ეს პირადი ჩხრეკის ოქმშია ასახული, არამედ პოლიციის განყოფილებაში;
- დაცვის მხარის მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ გიორგი შარაბიძის პირადი ჩხრეკა ატენის ქუჩაზე არ ჩატარებულა. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთ-ერთი მოწმის ჩვენება, რომლის თანახმადაც, პოლიციის თანამშრომლების მიერ გიორგი შარაბიძის ატენის ქუჩაზე ჩამოყვანის მომენტიდან, მის წაყვანამდე, ისინი მუდამ მისი თვალთახედვის არეში იყვნენ. მისივე თქმით, მთელი ამ ხნის განმავლობაში გიორგი შარაბიძის არც პირადი ჩხრეკა ჩატარებულა და არც ოქმი შეუდგენიათ პოლიციელებს;
- ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც გამორიცხავს გიორგი შარაბიძის ჟილეტში ნარკოტიკული საშუალების, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ან ფსიქოტროპულო ნივთიერების არსებობას.
- ბილოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც ნივთიერ მტკიცებულებებზე - ნარკოტიკული საშუალებების შეფუთვებზე აღინიშნება არა გიორგი შარაბიძის, არამედ სხვა პირთა გენეტიკური პროფილები.

[15] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 25 იანვრის N480აპ-16 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია - http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx